

ბები ღარჩინა და კიდე...

(დასასრული)

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — ქეთისელი გ. ონიანი (68 კგ) და გ. კოლუაშვილი (90 კგ) მეოთხე ადგილებზე გაიღწიეს.

ყველაზე ბიგრი პრიზიორი ამ ჩემპიონატში მოსკოვს ჰყავდა. დედაქალაქის ათლეტებმა თითო ოქროს, ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვეს. სამ-სამი პრიზიორი ჰყავდა გრანდს, როსტოვსა და დნეპროპეტროვსკს, ორ-ორი — თბილისსა და კიევის, დანარჩენ ქალაქებს კი თითო.

გათავიზობთ იმ ქალაქების სიას, რომელთა მოჭიდებულებამაც საპრიზო ადგილები დაიკავეს:

მოსკოვი	I	II	III
თბილისი	1	1	2
კიევი	1	1	—
გროდნო	1	—	2
როსტოვი	1	—	2
გორკოვოლოვგადი	1	—	—
სარანსკი	1	—	—
ალმა-ათა	1	—	—
ულიანოვსკი	1	—	—
ნოვოსიბირსკი	1	—	—
ლენინკანი	—	1	2
ოშკი	—	1	—
კომინოვი	—	1	—
დნეპროპეტროვსკი	—	1	—
ჩიმკენტი	—	1	—
მარიუპოლი	—	1	—
ბელაია ცერკოვი	—	1	—
მინსკი	—	—	1
ჩელიაბინსკი	—	—	1

ჩემპიონატის პრიზიორები:

- 48 კგ. 1. ო. კუჩერენკო (გორკოვოლოვგადი), 2. ს. სუკოლოვი (ოშკი), 3. შ. აბასოვი (გროდნო).
- 52 კგ. 1. ა. კალაშნიკოვი (კიევი), 2. ვ. კოლენსკი (კომინოვი), 3. გ. ავგაიანი (ლენინკანი).
- 57 კგ. 1. ა. შესტაკოვი (გროდნო), 2. ი. სუხარევი (მოსკოვი), 3. ო. არუთინიანი (მინსკი).
- 62 კგ. 1. გ. ატმაიანი (სარანსკი), 2. დ. სიროიანსკი (დნეპროპეტროვსკი), 3. მ. რუბინიანი (ლენინკანი).
- 68 კგ. 1. ი. დუგუჩივი (როსტოვი), 2. მ. ისახანდრიანი (ლენინკანი), 3. ვ. პერმინოვი (მოსკოვი), 4. ვ. ონიანი (ქუთაისი).
- 74 კგ. 1. დ. ტუროლიანი (ალმა-ათა), 2. ვ. დეცივი (ჩიმკენტი), 3. ვ. მაიაშვილი (მოსკოვი).
- 82 კგ. 1. ვ. მალაი (მოსკოვი), 2. ბ. დარჩია (თბილისი), 3. ს. ნასეივი (როსტოვი).
- 90 კგ. 1. ვ. პოტაპოვი (ულიანოვსკი), 2. ვ. ოლეინიკი (მარიუპოლი), 3. რ. სამურგაშვილი (როსტოვი), 4. გ. კოლუაშვილი (ქუთაისი).
- 100 კგ. 1. გ. გელხაიური (თბილისი), 2. ვ. კლიმენკო (კიევი), 3. ა. ფედორენკო (გროდნო).
- 180 კგ. 1. ა. კარელინი (ნოვოსიბირსკი), 2. ნ. მაკარენკო (ბელაია ცერკოვი), 3. ვ. გრიგორიევი (ჩელიაბინსკი).



კობა კურბანიძე — მესუთა!

(დასასრული)

ენობა მიიღეს. საქმე მსახურად გადამარჯვება კობა კურბანიძეს მიაკუთვნეს.

ლერი ჟორჯოლიანი (მწვრთნელი — რობერტ გუჯეჯიანი) აშკარად შეიძლება ვუწოდოთ ჩემპიონატის აღმჩენს. მან ძალზე ეფექტურად ჩაატარა ბრძოლა მესამე ადგილისათვის და შეჯიბრების დებიუტატმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

კობა კურბანიძეს მძიმე ორთაბრძოლები გადახდა თავს — ყველა შეხვედრა ქულებით მოიგო. მას ჩემპიონატის წინ 9 კოლოგრაში დაეკლო და ძველებური ძალა, ცხელი ვერ ექნებოდა, თუმცა ფინალში კობამ ყველას დაუმტკიცა, რომ მისი მაღალი რეპუტაცია ასევე მაღალ ოსტატობასა და ბრძოლას უნდა ანაზღაურებდეს. ეფექტური ილეთი (ვახარი) ძირს დასცა მინსკელი ევგენი დოლოინი და ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა. კობას გამარჯვებას არ მოჰყოლია ტრადიციული სტრეინა, რომლითაც ადგილობრივი მკურნალები ჩვეულებრივ გამოხატავდნენ თავისი დამარცხებით გამოწვეულ წყენას — ყველაზე უწყობადად აღიარა მისი უპირატესობა.

საპრიზო კავშირის წინა ჩემპიონატების შედეგებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ კობა კურბანიძეს ერთგვარად უნიკალური რეკორდი დაუწყებია — იგი ხელახლა ხუთჯერ გახდა ჩემპიონი. ამჟამად მოქმედ ძიუდოსიტაგან

ყველაზე მეტი ტიტული, ცხელი, სხელოვან გრიგოლ ვერიხეს აქვს, რომელიც წელს მეტრედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. იგი 32 წლისაა და კარგად იცის, წაგება მისთვის (ასაკის გამო) კატასტროფას ნიშნავს. ამიტომ ამ შეჯიბრებაში მეტად მობილიზებული, ძალზე კარგად მომზადებული გამოვიდა.

პირველ ორთაბრძოლაში იგი ქუთაისელ დავით ხახალიშვილს შეხვდა, რომელსაც მხოლოდ თებერვალში უსრულდება 18 წელი. ტიტულივით სპორტსმენს უმეტესად ადვილად უპირატესობა აქვს ახალგაზრდა სპორტსმენის წინაშე, მსაჯები მას უწყობადად აპატიებენ „ზოგ რამეს“, თუნდაც ყველაზე დაბალ შეფასებას „კოკას“. თუ ორთაბრძოლა უმეტესად დამთავრდა, „ხანტივი“ მის მხარეზე იქნება და ა. შ.

ყველაფერი ეს დაეხმარა ვერიხეს, რომ ახალგაზრდა მეტოქისთვის ეჯობა, მათი თანაბარი ბრძოლა უმეტესად დამთავრდა და მსაჯმა ჩელიაბინსკელი სპორტსმენისკენ გაიმჯირა ხელი. ეს იყო ერთადერთი ორთაბრძოლა, სადაც მსოფლიო ჩემპიონი ახლოს იდგა დამარცხებასთან, დანარჩენი შეხვედრები კი მან წმინდად მოიგო (დამარცხა ავთანდილ გუბელაძე, ხოლო ფინალში ეფექტური ვადებით ძირს დასცა კუბიშვილი სერგეი კოსოლოვოვი. სხვათა შორის, ფინალში კოსოლოვოვის ადგილის დაკავება შეუძლო ვალერი პარუნაშვილს. ნახევარფინალის დამთავრებამდე 20 წამით ადრე იგი იუკოს უგებდა მას, მაგრამ შემდეგ მეტოქის მტკივნეული ილეთზე წაბრუნდა. ჩვენი შედეგულიდან ყველაზე გამოცდილი აკაკი კი-

ბორძალიძეც ორი გამარჯვების შემდეგ სწორედ კოსოლოვოვთან დამარცხდა.

მართალია, ფინალში, რომ იტყვიან, ხელიდან გაუშვეს, მაგრამ მესამე ადგილებისათვის ბრძოლას ექვსი ქართველი მოჭიდავე შემორჩა და მათ ეს შანსი იყო და აღარ გაუშვიათ. მიხეილ ხუბარაძემ ორი წმინდა გამარჯვების შემდეგ კიბორძალიძესთან წააგო, რომელმაც ასევე დაბრუნდა მეტოქის სძლია. ხახალიშვილმა მოუგო ლიტველ ვასკელს და უკრაინელ ზინჩუკს.

ამრიგად, ბრინჯაოს მედალებისათვის მებრძოლნი ასე დაწყვილდნენ: კობა კურბანიძე — გუბელაძე, ხახალიშვილი — პარუნაშვილი, ალმა-ათაში — რომ პირველი სამი ქუთაისელი მწვრთნელის ომარ მერაბიშვილის მოწაფეა ხოლო პარუნაშვილს ოთარ ნატროშვილი ავარჯიშებს.

დამატული შეხვედრები გუბელაძისა და პარუნაშვილის გამარჯვებებით დამთავრდა, რომლებმაც ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალები მოიპოვეს.

ძლიერი მეტოქეები შეხვდათ ამ დღეს ქალთა ჩემპიონატში მონაწილე ქალთა ნებიერიძეს (72 კგ) და ნინო ჩუმაშვილს (მძიმე წონა). მათ ქვეყნის ჩემპიონებთან — გარდა სვენიკოვასა და ირინა ემელიანოვასთან მოუხდათ შეხვედრა და ორივე დამარცხდა. მაგრამ სწყყენი ის იყო, რომ სვენიკოვამაც და ემელიანოვამაც შემდეგ ორთაბრძოლები დათმეს, რითაც ჩვენს სპორტსმენებს მესამე ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობა დაეკარგათ. ჩემპიონატის მეორე დღეს, როდ-

ესაც ტატამზე 78 და 86 კგ წონის მონაწილეები გამარჯვდნენ. ჩვენი გუნდის 9 წევრიდან ამათგან ფავორიტად არც ერთი არ ირჩევებოდა. ამიტომაც კობა კურბანიძე და ალმა-ათა ითვალის, რომ სამამა მათგანმა მოიპოვა მედლისათვის ბრძოლის უფლება. 86 კგ წონის ფინალში გავიდა გორგი თანად, რომელმაც ზედიზედ ოთხი ორთაბრძოლა მოიგო. ამავე წონაში მესამე ადგილისთვის იბრძოლებს ანბეტელი დავით ბაგაური. ძალზე დასანანი გახლდათ მისი დამარცხება მეოთხე წრეში — იგი აშკარად ძლიერი ჩანდა მეტოქეებზე და სამი შეხვედრა წმინდად მოიგო, მათ შორის, ძირს დასცა ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი კრასნოარსკელი ვიქტორ პოდლუბნი. სამ იუკოს უგებდა უფელ ვადიმ საფოროვსკი, მაგრამ სფიხზე მოაღწია და წმინდად დამარცხდა. შემდეგ ბაგაურმა კიდევ მოიგო ორი ორთაბრძოლა და ახლა მესამე ადგილისთვის იბრძოლებს.

ენგურ გოგინაშვილმა (78 კგ), თუმცა პირველი შეხვედრა წააგო, მაგრამ სანუგეშო ტურნირში ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და ახლა მასაც ერთი ნაბიჯი აშორებს ბრინჯაოს მედალს.

სხვა ჩვენი მოჭიდავეები სხვადასხვა საფეხურზე გამოეთიშნენ ასპარეზობას. თბილისელმა ოლეგ რატინამ სამი შეხვედრა მოიგო, მაგრამ შემდეგ ორში დამარცხდა. მისი ბედი გვიხარავს თბილისელებმა ბესიკ ჭიჭიკაძემ (78), თამაზ სააკაშვილმა (86), თამაზ ნავერიანმა (86) და ზესტაფელიელმა გიორგი გაჩეჩილაძემ (86). აგრეთვე ანბეტელმა ვასილ ომარაშვილმა (86).



პირველ ჩვენს ჩასუბლიკაში

თბილისის კადრების სასახლეში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველი საბჭოთა ახალგაზრდა ოსტატთა შორის. ამ შეჯიბრებას კარგა ხნის ტრადიციის აქვს, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკაში იგი პირველად მოეწყო.

ტურნირში, რომელიც შეიცავს ორ თვის სისტემით ტარდება, 16 მოჭიდრავს გამოდის. მათ შორის ერთი ჩვენი თანამემამულეა — ოსტატი ვია გორგაძე (მწვრთნელი ალექსანდრე ბოკუჩავა).

წილისურის მიხედვით მონაწილეები სატურნირო ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით ვალაგდნენ: 1. ოსტატი ვლადიმერ ეიშინი (ლენინგრადი, 2458), 2. საერთაშორისო ოსტატი ვლადიმერ (ოლესა, 2440), 14. ოსტატი აშოტ ანასტასიანი (ერევანი, 2466), 15. საერთაშორისო ოსტატი ელვარ როზენტალისი (ვილნიუსი, 2484), 16. ოსტატი ვლადიმერ აკოფიანი (ერევანი, 2448).

ტატი ვლადიმერ ვიეგროვი (კიევი, 2441), 3. ოსტატი ნია გიორგაძე (თბილისი, 2484), 4. ოსტატი გრიგორი სერპერი (ნოვოსიბირსკი, 2413), 5. ოსტატი ალექსეი შიროვი (რიგა, 2404), 6. საერთაშორისო ოსტატი, რუსტემ დაუტოვი (მინსკი, 2517), 7. საერთაშორისო ოსტატი ლემბიტ ოლი (ტალინი, 2508), 8. ოსტატი მიხეილ ულიბინი (საერდლოვსკი, 2436), 9. საერთაშორისო ოსტატი გიორგი ტრიშენკო (მოსკოვი, 2516), 10. ოსტატი ვადიმ რუბანი (ნოვოსიბირსკი, 2447), 11. საერთაშორისო ოსტატი ალექსეი დრევი (მოსკოვის ოლქი, 2518), 12. ოსტატი ალექსანდრე შაბალოვი (რიგა, 2484), 13. საერთაშორისო ოსტატი სტანი-



ლახტის საბჭოთა ბაკურიანიში გაიხსნა

კვლავ ახმანდა ბაკურიანის „ივერლების ველი“. აქ სტარტი მიეცა ტრადიციულ საკავშირო შეჯიბრებას სათბილომურ რბოლაში „ბაკურიანის პრიზი“. ქვეყნის უძლიერესი, საკმაოდ ცნობილი მოთხილამურე მრბოლელები გამოვიდნენ ბაკურიანის დათოვლილი დისტანციას: ოთხჯინს ოლიმპიური ჩემპიონი რაისა სმეტანიანი, კალგარის ოლიმპიადის ჩემპიონები და პრიზიორები ვიდა ვენცენე, თამარა ტიხონოვა, სვეტილანა ნაგეიკინა, მიხეილ დევიატაროვი, ალექსანდრე ზავილოვი, ალექსეი პროკუროროვი, ვლადიმერ სმირონოვი, ვლადიმერ სახნოვი და სხვა.

ქალებმა ამანათბენში 3X5 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვაეები — 4X10 კილომეტრზე. ქალთა ამანათბენში საუკეთესო დრო (41 წუთი და 50 წამი) აჩვენა საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა. მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ იულია შამშურიანი, რაისა სმეტანიანი და თამარა ტიხონოვა.

მეორე ნაკრებმა (ვიდა ვენცენე, ლარისა ლაზუტინა და ელენა ვი-ალბე) 42 წუთი და 17 წამი მონაბრუნდა დისტანციის გავლას, ხოლო

მესამე გუნდმა (სვეტილანა ნაგეიკინა, ტატინა ბონდარევა და ლიუბა ეგოროვა) მესამე შედეგი (42:37) აჩვენა.

ვაეითა შორის იმარჯვა სერგეი კიჩინის, მიხეილ დევიატაროვის, ანატოლი კარაშვილის, სერგეი კოზლოვის „კვარტეტმა“ (ქვეყნის მესამე ნაკრები) — 1 სათი, 39 წუთი და 14 წამი.

მეორე შედეგი ჰქონდა პირველ გუნდს (1:39:40) — ალექსეი პროკუროვი, ვლადიმერ სმირონოვი, ვლადიმერ სახნოვი და ვლადიმერ ბა-ლამშინი. საბჭოთა არმიის გუნდმა (ანდრე სერგეევი, ალექსანდრე ზავილოვი, ანდრე დრაჩიოვი, ვლადიმერ გოლუბევი) მესამე შედეგი აჩვენა — 1:39:57.

სოფიო ხათაბაშვილი, „ლელოს“ კორ.

„სოფიო ხათაბაშვილი“ გაგაფრანდით

„ლინამოს“ საფეხბურთო კლუბის შექმნასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საქმიანობა დასასრულს მიუახლოვდა. ახლა ჩასატარებელი დარჩა დამფუძნებელი კონფერენცია, სადაც დამტკიცებენ დებულებას, აირჩიენ კლუბის საბჭოს, პრეზიდენტს და გამოცხადდება ანგარიშის ნომერი.

რედაქციაში კი უწყვეტ ნაკადად მოდის კლუბში გაუქმების მსურველთა დებულება და წერილები. გუჩიური მოსწავლეები, სტუდენტები, დიასახლისები, მუშები, ინჟინრები, ექიმები... „სოფიო ხათაბაშვილი“ კლუბში... საწევრო თანხას ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე გადაიხდით. თითქმის ასე იწყება ყველა წერილი თუ დებულება, რომელიც რედაქციაში მოდის. დღეს გაგაცნობთ კიდევ რამდენიმე ფუნდამენტის მოყვარულის სახელს, რომელმაც წინასწარ ითხოვეს კლუბში გაერთიანება. აი ისინიც: ზვიად ჯუხრაშვილი (რუსთავი), ვასო გრიგალაშვილი, ომარ ნოზაძე, თემურ ცხეიდაძე (სამეგრეო — ხაშური), ალექსეი გარდაძე, მარიამ ღანცია, მარიამ პანტია, ზაზა აბლოცია (ყვილა — ვალი), ნანა და ირმა ყუფარაშვილები (სოფ. ნუკიანი, სიღნაღი), თეა ლალიაშვილი (სოფ. კობიანთკარი, დუშეთი), ნინო მსხალაძე (სოფ. მაკანეთი, მახარაძე), არჩილ და მამუკა ჯავარიძეები (ქობულეთი), რამინ, გარამი, ალექსანდრე და პაატა აბლოცია (სოხუმი), გიორგი სიხარულიძე (სოფ. შუა განახლება, ჩოხატაბუკი), ლეონ ბურდული, სოსო შუშუაშვილი, აკაკი ხიზანიშვილი, იმედა დვალაძე, ელენე დოლოძე, მიხეილ სისაური, დემურ ჩანთარია (ყვილა — თბილისი).



ჩემპიონობა — დიდი უპირატესობა

თბილისი გამართულ „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე 1971-1972 წლებში დაბადებული 220 მოჭიდავე მონაბრუნდა უმეტესობის სახელის მისაპოვებლად.

თველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა დიმიტრი ავდიანმა მან ოთხი ბრძოლა ვადამდე დაამთავრა აშკარა უპირატესობით.

ჩემპიონობა აკრობატებმა სპორტული სეზონი ქალაქ ვინიცაში დაიწყეს. აქ გაიმართა მეორე საკავშირო ტურნირი გენერალ-ლეიტენანტ გუსაროვის პიზნუზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: უკრაინის, ლიტვის, მოლდავის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. ეს ტურნირი ერთგვარად დაზვევით ხასიათსაც ატარებდა, რადგან მეტოქეთა უმეტესობას საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მოუწევს შეხვედრა. (ასპარეზობა ახალგაზრდული თამაშების ვარჯიშებში პროგრამით ჩატარდა).

საკავშირო ტურნირი პაროპატიაში მესამედიკა მოვაპულ მებრძოლებთან

საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაზე შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა. გუნდის ღირსებას ამჯერად არ იცავდნენ მებრძოლი გუნდები, ორი სამედიკა და ძალისმიერი წევრი. მიუხედავად ამისა, ჩვენს აკრობატებს ურიგოდ არ უსაზარებიათ. შერეულ წყვილთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს ვია მახარაშვილის აღზრდილებმა ირინა ოვოიანმა და რომანოზ კუხალეიშვილმა, გოგონა წყვილთა ასპარეზობაზე მესამე ადგილზე გავიდნენ საქართველოს ჩემპიონები თამარ ბეროშვილი და თინათინ ვარდიძე (მწვრთნელი დავით გაგოშვი-

ლი). ვაეთა ჯგუფურ ვარჯიშში სიმონ თუბერბიძემ, აფანასი იანაკოვამ, სტანისლავ პეტროვმა მხოლოდ მეოთხე ადგილის დაკავება შეძლეს. დანაშაუნი იმდენად ვამბობთ, რომ ეს ოთხეული თავის ასაკში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება. ქვეყანაში, მაგრამ ამჯერად, ვილი ვართანოვი შეუძლოდ იყო და თბილისელმა აკრობატებმა თავიანთი შესაძლებლობები მთლიანად ვერ გამოავლინეს. 28 მოხტუნავეს შორის მესამე ადგილი დაიკავა ვია ხეთაგუ-რია.

ლევან ჯაბაძე.



შარშანდელი ნაკრები, კლუს ოთხი ახალბედა

შარშან, როდესაც საქართველოს ბატუტზე მსტომელთა ნაკრების მწვრთნელს თენგიზ ხულოვეს სეზონის გეგმებზე ვესაუბრებოდით, ძნელი წარმოსადგინი იყო, რომ ჩვენი სპორტსმენები ამდენ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევდნენ როგორც საქავეში, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში. თვით ყველაზე ოპტიმისტი სპეციალისტიც ვერ იფიქრებდა, რომ რუსულან ზოფერია მსოფლიო ჩემპიონატში სამ ოქროს მედალს მოიპოვებდა, რომ ქართველი გოგონების სამეული (ანა დოლონაძე, რუსულან ზოფერია და ლია ბენდიანიშვილი) ევროპის იუნორთა პირველობაზე საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურს დაიკავებდა, ანა და ლია კი იმავე შეჯიბრებაში სინქრონულ ბტომებში უძლიერესნი იქნებოდნენ.

რომ კბაუტა პირველ თამაშებში დაკავებულ გუნდურ მეხუთე ადგილს საქართველოს ნაკრები შარშან ასპარეზობაში „პირველ ადგილზე გადაცვილია“. აღარაფერს ვამბობთ მფრინავ-კოსმონავტ გიორგი დობროვოლსკის სახელობის საქავეშირო და საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებულ წარმატებებზე. ერთი სიტყვით, შარშანდელმა წელმა ბევრი სასიამოვნო მოგონება დაგვიტოვა, მაგრამ, გვინდა თუ არ გვინდა, ყოველი განვლილი წარმატება ისტორიის კუთვნილება ჰქონდეს — წელს ჩვენს ბატუტზე მსტომელებს კვლავ ახალი გამოცდები ელოთ. ერთ-ერთი „საჯილდოო ქვა“ საქავეშირო ას-ალგაზრდული თამაშები იქნება. სწორედ ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მზადების შესახებ გვესაუბრება საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი თენგიზ ხულოვე:

— ზოგიერთ სახეობაში არცთუ იშვიათად სპორტსმენი მხოლოდ მიწისაღწერი სხვაობით იგებს შეჯიბრებას, „თავს ინახავს“ მომავალი ასპარეზობისთვის. ბატუტზე მსტომელისათვის ამგვარი „ფუფუნება“ წარმოუდგენელია. იგი ყოველთვის თავისი შესაძლებლობის ზღვარზე იბრძვის. ასე რომ, შარშანდელი შეჯიბრებიდან „შავი დღისთვის“ არაფერი გადაგვინახავს, გარდა ერთი დიდი სურვილისა, რომ კვლავ წარმატებისთვის ვიბრძოლოთ. ამისთვის კი მხოლოდ ერთი გზა არსებობს: თავდაუზოგავი შრომა, დაუღალავი ვარჯიში.

● სიტყვამ შოიტანა და, ვარჯიშის პირობებს არ უნდა ემდებოდეთ.

ჩვენი ნაკრების ძირითადი სწავრთნელი ბაზა, როგორც იცით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კომპლექსია. აქ ყველა საშუალება იმისათვის, რომ სპორტსმენმა სრულყოფილად ივარჯი-



რუსულან ზოფერია და თენგიზ ხულოვე.

შოს. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ახალგაზრდული თამაშებისთვის მზადების დიდი სერიოზულობით მოეციდნენ ჩვენი „პატრონები“ — სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭო (თავმჯდომარე ამირან შენგელია) და ტანვარჯიშის რესპუბლიკური სპორტული სკოლა (დირექტორი მედეა ჯუღელი). დასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა თავიანთ მოადგილეებს დაავალეს ჩვენი მეურვეობა. ისინი ყოველგვარ პრობლემურ საკითხს ისე წყვეტენ, რომ ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს, აღარ გვეჭირდება დროის დაკარგვა.

● როდის დაიწყეთ ახალგაზრდული თამაშებისთვის მზადება?

— შარშან, ევროპის იუნორთა პირველობის შემდეგ, გუნდი მთლიანად კბაუტა თამაშებში გამარჯვებული მსტომელებით დავაკომპლექტეთ. მათ შეუერთდნენ პერსპექტიული სპორტსმენი ზენიბა ომაძე, ირინა მიხაილოვა, გიორგი ვაგუა და მაღნაზ ხარატიშვილი, თუმცა ისევე როგორც შარშან, ნაკრებში კვლავ ოთხი ვაჟი და ოთხი გოგო იქნება. რაოდენობის გაზრდით შესაბამისად კონკურენციაც გაიზრდება. იმას კი, ვინ გაემგზავრება დნი-პროპეტროვსკში, დარჩენილ დროში გამართულ შეჯიბრებებში ნაჩ-

ვენები შედეგების მიხედვით გადაწყვეტთ.

● თუ სხვა რესპუბლიკებზე არ შეცვლიან გუნდების შემადგენლობას, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ წლეულს წარმატების არანაკლები შანსი გვაქვს?

— ეს შეკითხვა მისში მოგეცათ, უფრო გარკვეულ პასუხს გაცემდით. ვგულისხმობ იმას, რომ მალე საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს ბატუტისტებს სხვადასხვა შეჯიბრებებში მოუხდებთ გამოსვლა. მისისთვის უკვე ნათლად გამოიკვეთება თითოეული მათგანის სპორტული მომზადების დონე. თუმცა ისიც ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი მოგვიანებით აღწევს მომზადების პიკს. ერთი, რაც გარკვევით შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ახალგაზრდული თამაშებში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა უმარჯველესობა. ისინიც, ვინც კბაუტა თამაშებში ასაკის გამო არ იყო დაშვებული.

● ძირითად მებტოქებზე რას გვეტყვი?

— ტრადიციულად ხუთეულში საუკეთესო ადგილის დასაკავებლად ბრძოლა მოგვიხდება უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა



ანა დოლონაძე.

და ლენინგრადის გუნდებთან. ეს კია, რომ თუ შარშან კბაუტა თამაშებში რუსეთის ფედერაციამ და უკრაინამ შესაბამისად სამი და ორი გუნდი გამოიყვანეს, რაც მედლებისთვის ბრძოლას აძნელებდა, წლეულს ყველა რესპუბლიკიდან მხოლოდ თითო კოლექტივი იასპარეზებს.

● თბილისელთა გარდა ნაკრებში ვის შევყვანას ამირებთ?

— მე იმას გეტყვით, დღესათვის ნაკრებთან ერთად ვინ ვარჯიშობს, ესენი არიან — ქუთაისელები მერაბ სუპატაშვილი და ლელა გიგინეიშვილი (მწვრთნელი ვალერი ჩაბერიძე), ვინ მოხვდება მათგან ნაკრებში, ეს, უპირველეს ყოვლისა, ისევე მათზე დამოკიდებულია. დნიპროპეტროვსკში გამგზავრებამდე სამი თვრამეტრიანი შეკრება გვექნება (თბილისი, ბათუმი, კრასნოდარი), შემდეგ კი ახალგაზრდული თამაშებზე გავემგზავრებით. შეკრებებს შორის მონაწილეობას მივიღებთ შარშანდელზე საქავეშირო ასპარეზობაში. სწორედ ეს შეჯიბრებები დაგვიჩვენებდა, რომ ახალგაზრდული თამაშებისთვის გუნდი ღირსეული წევრებით დავაკომპლექტეთ.

ჯემალ პასრაძე.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

შერყეული პროფისია

თბილისი. სპორტის სახანლე. 25 იანვარი.
„დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილინიუსი) 78:91 (48:52).
„დინამო“: კოლიჩევი (18), ტიუზინი (15), კროპაჩოვი (15), კაპუსტინი (12), დარსაძე (8), ვაშაკიძე (8), შენგელია (4).
„სტატიბა“: მარჩიულიონისი (25), ვაილაუსკასი (20), გრიგასი (18), კარნიშოვასი (10), მატკიავიჩუსი (7), დამბრაუსკასი (6), პორტნიუსი (6), კინოზა (2), ვახილუნსისი (2), ჩენსა. მსაჯები — პ. ანტონოვი (ნარვა) და ი. ტვახაძე (ვილიანი).

და იმპროვიზებულ შეტევებს, მოძრა და მობილურ დაცვას, გამოზომილ გადაცემებს, კიდევ ბევრ სხვა ელემენტს და, რაც მთავარია, ფაისის ქვეშ ეფექტურ ბრძოლას. პირველ მატჩში ლიტველთა გამარჯვება სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა და არა სამჭულაინმა სროლებმა, რომელსაც „სტატიბა“ მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციიდან გამომდინარე პირობებში მიმართავდა.

კატეგორიულად ნუ გავივებთ: სამჭულაინი სროლების წინააღმდეგ, ცხადია, არა ვართ და არც შეიძლება ვიყოთ, ვინაიდან ასეთი ტყორცნები საკალათბურთოდაც მიგაჩნია და საკმაოდ მძლავრ იარაღად. მაგრამ გააჩნია პირობებს და კიდევ იმას თუ რით შეგვიძლია შევცვალოთ იგი საგანგებო სიტუაციებში. კალათბურთი არ არის მხოლოდ სამჭულაინი ტყორცნები. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი მატჩის შედეგი, საბოლოო ჯამში, მაინც ორჭულაინი ტყორცნების სიმრავლეთ განისაზღვრება. ვინც მეტს თამაშობს (და არა ტყორცნის), წარმატებაც იმას რჩება.

შეეძლო ჩვენს გუნდს „სტატიბასთან“ პირველი მატჩის მოგება? ასეთი კალათბურთით, რა თქმა უნდა, არა. რომ არაფერი ვთქვათ დაცვის სისუსტეზე, რომელიც ჩვენს გუნდში ყველა უმეტესობის თავი და თავია, „დინამოს“ არც თამაში გამოუვიდა და მთელი აქცენტი, ძალუხნებურად, სამჭულაინ ტყორცნებზე გადაიტანა. ეს კი ყველაზე საეჭვო გადაწყვეტილება იყო.


თუმცა... მატჩის დასაწყისი თითქოს საიმედო ჩანდა. „დინამო“ სტარტზე დაწინაურდა 9 ქულით. ამ უპირატესობის შენარჩუნება, თუნდაც პირველ ნახევარში, ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს. მაგრამ არის ერთი საშუალო ნიუანსი, რომელშიც „დინამოში“ ბოლო დროს

კანონის სახე მიიღო. ჩვენს გუნდს ბრძოლთა მოპოვებული უპირატესობის გაფლანგვა სულ ადვილად, ფაქტურად უბრძოლველად შეუძლია. ასე თვალსა და ხელს შუა გავქრა 9-ქულიანი სხვაობა, რომელიც ბრძოლის დასაწყისში გარკვეულ იმედს იძლეოდა.

„სტატიბას“ ამ შეხვედრაში ჰქონდა აღმავლობის პერიოდი, რაც გუნდმა გონივრულად გამოიყენა. ეს პერიოდი მეორე ტაიმის დასაწყისის დაქმნაზე, კრიტიკული მონაკვეთი ლიტველთა კალათბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 14:2 და ფაქტურად ბრძოლის ბედიც მათ გადაწყვიტეს.

უპირატესობის შენარჩუნებას კალათბურთში მართლაც დიდი ხელოვნება სჭირდება და იგი უსათუოდ გუნდის ხასიათზე მიგვიჩინებებს. მეორე შეხვედრა ყველა საკალათბურთო კანონის თანახმად დინამოელებს უნდა მოეგოთ. უნდა მოეგოთ იმიტომ, რომ ფაქტურად მთელი 35 წუთის მანძილზე ფლობდნენ ინიციატივას, უპირატესობას. ზოგჯერ ეს უპირატესობა 14 ქულას აღწევდა, ზოგჯერ ნაკლები იყო, მაგრამ გამარჯვების სრულ ილუზიას მაინც ქმნიდა, სამჭულაინო, მხოლოდ ილუზიას. ბოლო 5 წუთში ეს უპირატესობა ელვის სისწრაფით გაიფლანგა და საბოლოო ჯამში მატჩი წაგვეთ 1 ქულით. საგანგებო შემთხვევა გახლდათ? რა თქმა უნდა, ოღონდ (კუდი ისაა, რომ შექმნილი სატურნირო მდგომარეობის მიხედვით ასეთი „საგანგებო შემთხვევის“ უფლება უკვე აღარა გვრჩება. „სტატიბასთან“ წაგებულმა ორმა მატჩმა „დინამოს“ პოზიციები საგრძობლად შეარყია. ახლა მან მაქსიმუმი, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელიც უნდა შესძლოს, რომ სეზონის მთავარი ამოცანა მებტ-ნაკლები წარმატებით გადაწყვიტოს.

6. გავაუზიდი.



ბათამაშაშაძის ცხრილი

სახელი	პუნტი	გოლები	წილი	წილი	წილი	წილი	წილი	წილი	წილი
სახელი (ალმა-ათა)	22	15	7	2122-2030	87				
„დინამო“ (მოსკოვი)	22	12	10	2158-2087	84				
ცხკა	17	15	2	1687-1888	82				
„კალევი“ (ტალინი)	20	8	12	1689-1722	28				
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	22	6	16	1784-1954	28				
„სტროიტელი“ (ქიევი)	14	13	1	1888-1202	27				
ვეფ	28	4	19	1973-2288	27				
„დინამო“ (თბილისი)	20	7	13	1785-1828	27				
რტი									
(მინსკი)	18	8	10	1486-1586	26				
„შახტიორი“ (ლონეცი)	20	6	14	1559-1734	26				
„სტატიბა“ (ვილინიუსი)	16	8	8	1484-1421	24				
„უალგირისი“ (კაუნასი)	12	11	1	1217-1102	23				

ევროპის ტურნირები

პირველი გამარჯვება მუჰომედი ტურში

გაიმართა კალათბურთულ ვაჟთა ევროპის ტურნირების მორიგი მატჩები.

ჩემპიონთა თასი. მოსკოვის არმიელებმა, რომლებიც ფინანსულ ცვლებს „ლიმპოს“ ხედებოდნენ მისსავე მოედანზე, მეშვიდე ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვეს — 85:78 (36:37). მიმომხილველები აღნიშნავენ საბჭოთა კალათბურთელების კარგ თამაშს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში.

ამავე დღეს გაიმართა ფინალური ტურნირის კიდევ ერთი მატჩი. გათამაშების ლიდერი ესპანეთის „ბარსელონა“ პოლანდიაში თამაშობდა „ნაშუა დენ ბომთან“ — გაიმარჯვეს ესპანელებმა — 84:83 და ფაქტურად გაინაღდეს ადგილი ფინალისთვის ოთხეულში.

კოპარის თასი. ქიევის „სტროიტელი“ შინ ოტალიის ქალაქ კანტუს „ვიგას“ უმასპინძლა და დამარცხდა — 103:88 (59:45). როგორც ცნობილია, პირველი მატჩის იტალიელებმა 11 ქულით წააგეს, ასე რომ, „სტროიტელი“ თავის ჯგუფში ლიდერი გახდა.

ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები პოლონეთის „სტროიტელი“ და რიგა „ვიგა“ იყენენ. პირველმა თავის კოლექტივს 37 ქულა შესძინა, მეორემ — 32.

რედაქტორი თ. გარეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებსა და განცხადებებს — 380098, თბილისი, თენგიზ ქ. 14, ლეტეხებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩვენი მისამართი:
წერილებსა და განცხადებებს — 380098, თბილისი, თენგიზ ქ. 14, ლეტეხებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩვენი მისამართი:
წერილებსა და განცხადებებს — 380098, თბილისი, თენგიზ ქ. 14, ლეტეხებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩვენი მისამართი:
წერილებსა და განცხადებებს — 380098, თბილისი, თენგიზ ქ. 14, ლეტეხებისთვის — თბილისი, „ლელო“.